



ეკონომიკა

ტურიზმი: 2024 წლის მე-4 კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორები (ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) საქართველოში წლიურად 4.6%-ით გაიზარდა და 1.4 მლნ მოგზაური შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად ტურისტული ვიზიტების 9.0%-იანმა ზრდამ განაპირობა (78.9% მთლიან ვიზიტებში), მაშინ როცა ერთდღიანი ვიზიტები წლიურად 9.2%-ით შემცირდა. ამასთან, 2024 წლის მე-4 კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა რუსეთიდან (22.0% წილი ჯამურ ვიზიტებში), თურქეთიდან (19.6% წილი) და სომხეთიდან (15.3% წილი). ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (59.1%-იანი წილი), რასაც მოსდევს საჰაერო გზით შემოსვლა (40.2%-იანი წილი).

ჯამურად, 2024 წელს საქართველომ 6.5 მლნ მოგზაურს უმასპინძლა, საიდანაც ტურისტული ვიზიტები 5.1 მლნ იყო, რაც მცირედით, 0.2%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ერთდღიანმა ვიზიტებმა კი 2024 წელს პანდემიამდელი დონის მხოლოდ 51.6% შეადგინა. შედეგად, ჩვენი შეფასებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.4 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა 2024 წელს (2023 წელს ტურიზმის შემოსავლები 4.1 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში საქონლის ექსპორტი წლიურად 6.8%-ით გაიზარდა და 549.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 12.6%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, იმპორტი წლიურად 20.5%-ით გაიზარდა 1.7 მლრდ აშშ დოლარამდე, წინა თვის 14.2%-იანი ზრდის შემდეგ. შედეგად, დეკემბერში სავაჭრო დეფიციტი წლიურად 28.8%-ით გაიზარდა 1.1 მლრდ აშშ დოლარამდე.

ჯამურად, 2024 წელს, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 8.3%-ით გაიზარდა და რეკორდული მაჩვენებელი 10.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რადგან ექსპორტი 7.8%-ით გაიზარდა რეკორდულ 6.6 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო იმპორტი 8.1%-ით გაიზარდა და ასევე რეკორდულ დონეს 16.9 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა.

ფულადი გზავნილები: სებ-ის მიხედვით, 2024 წლის დეკემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 8.2%-ით შემცირდა 285.4 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 9.6%-იანი კლების შემდეგ. ძირითადი დონორი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების წლიური ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირიდან (+4.3%, მთლიანის 46.5%), აშშ-დან (+18.4%, მთლიანის 19.4%), ისრაელიდან (+11.1%, მთლიანის 8.2%) და თურქეთიდან (+11.8%, მთლიანის 3.2%). ამასთან, ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა რუსეთიდან (-55.8%, მთლიანის 11.0%) და ყაზახეთიდან (-50.3%, მთლიანის 2.6%).

ჯამურად, 2024 წელს ფულადი გზავნილები წლიურად 18.9%-ით შემცირდა და 3.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.


ეკონომიკური ინდიკატორები

	2023	2024E
რეალური მშპ-ს ზრდა	7.8%	9.4%
მშპ ერთ სულზე (ppp)	25,188	28,119
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,284	9,128
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	2.5%	1.1%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	4.4
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.6%	4.9%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	36.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაბარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საქონლის ექსპორტი


მლრდ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

ტურისტული ვიზიტები

მლნ ადამიანი



წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია




ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2025 წლის 14 იანვარს 11.7-წლიანი 30 მლნ ლარის (10.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.217პპ-ით გაიზარდა და 8.796% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2025 წლის 14 იანვარს 1-წლიანი 20 მლნ ლარის (7.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.3-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.020პპ-ით შემცირდა და 7.641% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2025 წლის 21 იანვარს, სადაც 7.9-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	94.67	7.28	310.30
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/-	87.63	8.24	410.45
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/-/B2	97.94	10.08	594.09
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/-/B1	100.71	7.99	340.67
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/-/-	96.05	11.11	696.31
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/-/B2	99.43	10.41	626.94
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/-	100.95	8.62	441.78

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-/-	n/a	n/a
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-/-	100.00	7.00%
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-/-	99.99	9.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-/-	99.99	9.00%
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	99.77	8.75%
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/-/-	101.08	8.13%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-/-	100.91	8.63%
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-/-	n/a	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	-/-/-/BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/BB-	99.77	7.25%
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	99.63	7.25%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.37	6.15%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/BB-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	7.75%
Silk Real Estate	EUR	7	7.00%	Aug-24	Aug-25	-/-/BB-	n/a	7.00%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	n/a	7.75%
GEL								
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/BB-	100.00	11.58%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Feb-23	Feb-25	B-/-/BB-	100.00	13.22%
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/BB+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/-/BB-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	-/-/BB+	n/a	n/a

: გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტ & თაგარტი

საჯარო ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი საჯარო მიხედვით სექტორების




წყარო: გალტ & თაგარტი



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 45.55 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.22% წინა კვირასთან შედარებით და -1.30% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 245 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 44.15 - 47.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 45 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 30.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.49% წინა კვირასთან შედარებით და -0.16% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 445 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 29.75 - 31.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 51 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 11.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.84% წინა კვირასთან შედარებით და +1.88% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 443 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.02 - 11.96 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 63 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	რ. თვე,	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	45.55	2,024	1.0%	18.5%	-3.3%	4.36x	3.92x	3.48x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	30.70	1,729	0.5%	7.2%	-1.6%	4.78x	4.74x	4.05x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	19.76	5,387	14.1%	35.2%	1.6%	2.57x	3.23x	3.17x	0.72x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	66.00	343,200	-2.7%	57.1%	1.8%	2.86x	7.59x	4.29x	0.90x	1.44x	1.10x
Garanti	GARAN	TRY	132.80	557,760	0.2%	109.5%	6.8%	2.84x	5.82x	4.30x	1.00x	1.68x	1.25x
Isbank	ISCTR	TRY	14.28	357,000	-18.1%	39.0%	5.5%	3.23x	6.91x	3.87x	0.87x	1.20x	0.91x
PKO	PKO	PLN	60.82	76,025	3.3%	25.1%	1.8%	11.44x	6.99x	6.77x	1.39x	1.50x	1.39x
PEKAO	PEO	PLN	145.90	38,294	-9.9%	1.9%	5.8%	6.07x	5.85x	6.19x	1.32x	1.18x	1.12x
Millennium	MIL	PLN	9.62	11,664	3.9%	22.2%	8.0%	17.78x	4.16x	4.76x	1.47x	1.49x	1.29x
Mbank	MBK	PLN	566.20	24,062	-8.1%	14.8%	3.5%	na	10.31x	6.04x	1.65x	1.52x	1.22x
BRD	BRD	RON	18.00	12,544	-16.1%	3.0%	-3.4%	7.62x	8.65x	8.84x	1.42x	1.30x	1.22x
Banca Transilvania	TLV	RON	27.10	24,847	-5.9%	25.7%	0.4%	7.76x	5.85x	6.83x	1.82x	1.51x	1.45x
Komercni	KOMB	CZK	881.00	167,433	9.8%	20.4%	3.8%	8.76x	10.69x	10.75x	1.09x	1.32x	1.34x
Mean								6.67x	6.52x	5.64x	1.23x	1.41x	1.23x
Median								5.43x	5.85x	4.76x	1.19x	1.47x	1.24x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტიდან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეგანაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვიზუალების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვიზუალებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)